პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | კვირა, 10 იანვარი 1926 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.

წითელი არმიელი

(1000) 5. | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.


პროლეტარებო ყველა ქვეყნის, შეერთდით!
წითელი არმიელი
ოთხშაბათი 23 თებერვალი
საქართველოს წითელ არმიის
1000

„წითელი არმიელი"-ს მე-5 წლის თავზე.

(მეათასე ნომერი).



მხურვალე სალამს უძღვნი „წითელ არმიელს" მისი მეათასე ნომრის გამოშვების გამო. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მუშურ-გლეხურ წითელ ჯარის, რომელიც განუყრელი ნაწილია ჩვენი საბჭოთა კავშირის წითელი ჯარის, გამომთქმელ ორგანოს. ბეჭდვითი სიტყვის გამოცემას უაღრესი მნიშვნელობა აქვს. თავის უფრო მტკიცე და სავალდებულო მოვალეობის ასასრულებლად... კონკრეტიულად და მდაბიოდ, ასე ვსთქვათ, იმ მასის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრულიად და სავსებით დასაკმაყოფილებლად „წითელი არმიელი" უნდა მიუდგეს საკითხს ისე, რომ ის იყოს გამომხატველი ჩვენი დღევანდელ მუშურ-გლეხური საბჭოთა ქვეყნის საერთო რევოლიუციონურ მეცნიერულ სწავლა-მოძღვრებისა, რასაც წარმოადგენს ლენინიზმი—მარქსიზმი — კომუნიზმი..

წითელ ჯარის, მუშურ-გლეხურ არმიის, რომელიც დგას და უნდა იდგეს თავგამოდებით მისი დიდი ოქტომბრის მრავალ წლეების დიდი სამოქალაქო ბრძოლებით მონაპოვართა სადარაჯოზე,—„წითელი არმიელი"—უნდა სულდგმულობდეს ყოველგან და უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ და მხოლოდ ამ მოძღვრებით, რომელსაც ყოველ წლობით ამკვიდრებს და ამტკიცებს თავისი დიდი და ღრმა ყოველდღიურ პრაქტიკის შემდეგ **საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)**, ყოფ. რ. კ. პ. (ბ) თავის ყრილობებზე.

აი, მაგალითად, უკანასკნელი მე-14 ყრილობამ კომპარტიისა, რომელიც ესეცაა დასრულდა, კიდევ ერთხელ უჩვენა მთელს დედამიწაზე თავის მტრებს და მოყვრებს ერთგვარად, რომ ის არის, მართლაც დღეს თავის დიდებულ **ბელადის—ლენინის სწავლა—**მოძღვრების იდეიურ სიმაღლეზე საუკეთესო ღირსეული ნაწილი,—მედროშე კომინტერნისა... ის ფლობს და ხელმძღვანელობს მთელს საბჭოთა ქვეყანას. ს. ს. რ. მუშურ-გლეხურ დიდ კავშირს, რომელიც დედამიწის ერთ მეექვსედს შეადგენს... ის სწყვეტს დაბოლავებით თავის შინაურ წესწყობილების განვითარებით და აღმშენებლობით სოციალიზმის განხორციელების საკითხს, ეკონომიურ-კულტურულ და პოლიტიკურ საფუძვლებზე... დედამიწის იმ ერთ მეექვსედ ნაწილზე, რომელიც ეკონომიურ-კულტურულის მხრივ ევროპა და ამერიკასთან ძლიერ ჩამორჩენილი იყო, სადაც უამრავი ტომ-გვაროვნებები, ეროვნებები ქალაქის და სოფლების უამრავი მშრომელი მასები იდგენ ეკონომიურ-კულტურულ განვითარების სხვა და სხვა საფეხურებზე, დღეს შედუღდა ერთი მიზნით—მუშურ-გლეხურ ქვეყნების გასამაგრებლად და მასში სოციალიზმის განსახორციელებლად

უკანასკნელი, მე-14 ყრილობა კომპარტიისა, მიუხედავად მასზე მომხდარ უახლოეს ამხანაგებთა შორის იდეურ კამათისა, გამოვიდა და გამოდის ამ ყრილობიდან კიდევ უფრო ძლიერი, როგორც ყოველთვის და ღირსეული გამგრძელებელი წინა ცამეტი ყრილობისა და მედგარი-მტკიცედ აღმსრულებელი ჭეშმარიტ ლენინიზმისა...

უსურვებ „წითელ არმიელ"-ს რომ თავის ახალ პერიოდში, მე-5 წლის თავზე თავის არსებობისა, მეათასე ნომრიდან—კიდევ უფრო ღრმად წმიდა ლენინურად გაეტარებიოს თავის ფურცლებზე პროგრამა პროლეტარულ რევოლიუციის ტაქტიკისა და სტრატეგიისა.

გაუმარჯოს მას მთელ დედამიწის ზურგზე!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ კავშირის ძლევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს მის განუყრელ ნაწილს—საქართველოს წითელ ჯარს და მის ინტერესების გამომხატველს გაზეთ „წითელ არმიელს"!

მიხა ცხაკაია.

წინ, მეორე ათასისაკენ.

ბრძანება

ამა წლის 10 იანვარს გამოდის 1-ლ და 2-რე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანოს—გაზ. „წითელ არმიელი"-ს მე-1000 ნომერი.

თავისი არსებობის მთელი ხნის განმავლობაში, გაზ. „წითელ არმიელმა" მკითხველების და თანამშრომლების ფართო მასა შემოიკრიბა თავის გარშემო როგორც წითელ არმიელებიდან, ისე მეთაურთა და პოლიტშემადგენლობიდან. დღითი დღე, გაზ. „წითელ არმიელი"-ს თითეული ნომერი უფრო და უფრო ეხმაურებოდა ჩვენი სამხედრო პოლიტიკური ცხოვრებისა და მუშაობის ყველა საჭირბოროტო საკითხებს და ყოველდღიურს საქმიანობას, რომელთა გამოცდილებებს ის აგროვებდა და მოყავდა შესაფერ სისტემაში.

გაზ. „წითელ-არმიელის" განმტკიცება, გაძლიერება და თანდათანი გაუმჯობესება, მისი თითეული წითელი არმიელის, მეთაურის, პოლიტიკური ხომუშავისა და საანეო მუშაკებისათვის თანამგზავრად გადაქცევა—ჩვენი უპირველესი ამოცანაა.

ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ღირსეულად ავღნიშნოთ ჩვენი პრესის ეს უდიდესი დღე, თუ ხელს შეუწყობთ გაზეთის გავრცელების საქმეს ჩვენი ნაწილების მომუშავეთა, წითელ არმიელებსა და გლეხთა ფართო მასებში და ვეცდებით მეორე მხრივ მათ ჩაბმას გაზეთის თანამშრომლებათ, გაზეთის გამოყენებას მათ ყოველდღიურ ცხოვრების მუშაობაში და სხვა.

ნაწილების უფროსებმა და პოლიტორგანოებმა, ამ ამოცანების შესრულებაში უნდა გამოიჩინონ მთელი თავისი ინციატივის მაქსიმუმი.

სალამი იუბილარს—სალამი მის მუშაკებს!

პირველი ქართულ მსროლელი დივიზიის სამხკომი და
პოლიტიკური განყოფილების
უფროსი ა კვირიკაძე
მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტგანის
უფროსი გ. მარქაროვი

მისალმებები.

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სარდალი ამხ. ლევანდოვსკისაგან.

(გაზ. „ზარია ვოსტოკა"-დან)

ამხ. ლევანდოვსკიმ გვთხოვა ჩვენი გაზეთის საშუალებით გადავსცეთ ქართულ წითელარმიელთა გაზეთ „წითელ არმიელ"ს სალამი მისი მეათასე ნომრის გამოშვების გამო.

„წითელი არმიელი" წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ ცოდნათა საყვირს არა მარტო წითელ არმიელთა შორის, არამედ მოსახლეობაშიც. გაზეთები არმიაში ტეხნიკური ბრძოლის იარაღია, განსაკუთრებით დღეს, როცა ჩვენი მომავალი შეიარაღებული ბრძოლები ჩვენს მტრებთან დამყარებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ უახლოესი კულტურისა და ტეხნიკის დაპყრობაზე.

კულტურა და ტეხნიკა უნდა შეიტანოს წითელ არმიელთა მასებში გაზეთმა. კერძოდ „წითელი არმიელი"-ს მეათასე ნომერი აშკარა საბუთია იმ დიდი მუშაობის, რომელიც უწარმოებია წითელარმიელთა ეროვნულ გაზეთს.

სალამი წითელ მხედართა გაზეთს.

წითელი არმია ოქტომბრის უერთგულესი და საიმედო გუშაგია. წითელი არმია საბჭოთა საზოგადოებრივობის საუკეთესო მასიური სკოლაა.

დიდია ბეჭდვითი სიტყვის როლი საზოგადოთ და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის საბჭოთა მხედრობის აღმზრდელობა-გათვითცნობიერების საქმეში.

ნივთიერ ხელმოკლეობის, ძალების სიმცირის და ტეხნიკურ მოუწყობლობის პირობებში „წითელ არმიელ"-მა ეს მძიმე საქმე სასახელოთ შეასრულა. დღეს ის მეათასე ნომერს უშვებს. ვინ იცის რამდენ შრომათ და თავდადებათ უღირდა პატარა, მაგრამ ყოველ წითელ არმიელისათვის კარგათ ცნობილ გაზეთის შეუმჩნეველ მუშაკთ ოთხნიშნოვან ციფრამდი მიღწევა.

მათ ეს შესძლეს. წითელი მხედრობის, მშრომელი მასების და კომუნისტურ პარტიის ფართე თანაგრძნობით და დახმარებით „წითელ არმიელი" კიდევ უფრო მტკიცეთ და მედგრათ განაგრძობს წინსვლას.

სალამი ათასეულ ნომრიან „წითელ არმიელს".

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქცია.

„წითელ არმიელს"

„ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქცია და ახკორები უღრმეს სიხარულს გამოსთქვამენ ქართული წითელი ჯარის იდეური მესაჭის გაზ. „წითელი არმიელის" 1000 ნომრის გამოსვლის გამო.

„წითელი არმიელის" 1000 ნომერი ქართული წითელი ჯარის უდიდესი ზეიმია.

გისურვებთ მომავალში ერთხელვე არჩეულ სწორი გზით სვლას და გაზეთის გარშემო ახალგაზრდა სამხკორების შემოკრებას.

„ახალგაზრდა კომუნისტი" დარწმუნებულია, რომ „წითელი არმიელი" შესძლებს მრავალ ათასეულ ახალგაზრდა წითელ არმიელთა კომუნისტურ აღზრდას და მის მტკიცეთ დაყენებას ლენინიზმის გზაზე!

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ ჯარს!

გაუმარჯოს „წითელ არმიელს"!

მხურვალე სალამით გაზ „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქცია და ახკორები.

სალამი თანამებრძოლს.

გაზეთი „კრასნი ვოინი" მხურვალე სალამს უძღვნის ქართული დივიზიის წითელ არმიელთა გაზეთ „წითელ არმიელი"-ს თანამშრომლებსა და სამხკორებს გაზეთის მე1000 ნომრის გამოშვების გამო.

ვუსურვებთ მუშაობის სრულ წარმატებას ეროვნულ და ტერნაილების აღმშენებლობისა და საბჭოთა კავშირის დამცველთა და მოქალაქეების აღზრდის საქმეში.

„კრასნი ვოინის" რედაქცია.

ჩვენი სალამი!

გაზეთ „მუშას"-ს რედაქცია თავის თანამშრომლებთან ერთად გულწრფელ სალამს უძღვნის „წითელი არმიელს" მისი მე-1000 ნომრის გამოსვლის გამო.

„წითელ არმიელი" წითელი მხედარის, წითელი მეომარის სარკეა.

ნუ ვიტყვით იმას, რომ „წითელ არმიელს" არ ჰქონდეს ნაკლი და სუსტი მხარე. ვინც იცნობს ჩვენი პრესის არსებობის პირობებს, უსათუოდ უნდა სთქვას, რომ ჩვენ მუშაობაში არის და აუცილებელიცაა ნაკლიცა და შეცდომებიც.

წითელ არმიელის საბჭოთა რესპუბლიკის შეგნებულ მებრძოლ მოქალაქეთ აღზრდა—აი თქვენი მთავარი მიზანი. ამ მიზანს „წითელ არმიელი" პირნათლად ემსახურება.

ძნელია კომუნიზმისაკენ გზის გაკაფვა, ეკლიანია ჩვენი გზა. ჩვენ გამოცდილებას ბრძოლაში და მუშაობაში ვიძენთ, ვსწავლობთ და სხვასაც ვასწავლით. ასეთია ჩვენი საერთო გზა!

ვისწავლოთ და ვასწავლოთ! აი ამ გზით ვიდოდა და მომავალშიაც ივლის საბჭოთა პრესა და მასთან ერთად „წითელ არმიელიც!„

გაზეთ „მუშა"-ს რედაქცია.

მხურვალე სალამი „წითელ არმიელს" მისი მეათასე ნომრის გამოსვლის გამო!



ახალგაზრდა ამხანაგებო-წითელარმიელებო! გულითადათ მოგილოცავთ თქვენი საკუთარი გაზეთის—„წითელ არმიელის"—მეათასე ნომრის გამოსვლას. ამ ამბავს დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა წითელარმიელისათვის, განსაკუთრებით კი ქართველ წითელარმიელებისათვის.

ჩქარა მეხუთე წელიწადი შესრულდება, **რაც საქართველოს განაგებს მუშურ-გლეხური ხელისუფლება**, რომელიც ეყრდნობა მთელ მშრომელ მასას, მაგრამ წითელი ჯარი, რომელიც პირმშო შვილია ამ მშრომელი მასის, მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის ყველაზე უფრო მაგარ ბურჯს წარმოადგენს.

ყველაფერი ეს თქვენ კარგათ იცით. იცით აგრეთვე ისიც, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება, როგორც გამომხატველი და დამცველი ყველა მუშის და ყველა გლეხის ინტერესების, წინააღმდეგია საერთაშორისო ომების და იგი მხარს უჭერს ნამდვილ და სრულ განიარაღებას, ე. ი. მუდმივ ჯარების გაუქმებას. მაგრამ ხალხის მძარცველთა და მყვლეფელთა კლასები, ე. ი. კაპიტალისტები და მემამულეები, რომლებიც განაგებენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, არათუ ეწინააღმდეგებიან საყოველთაო განიარაღებას და მუდმივ ჯარების გაუქმებას, არამედ კიდევ უფრო აძლიერებენ თავიანთ ჯარებს. და თუ ამას ისინი ჩადიან,—ეს იმიტომ, რომ იმათ მიზანში ამოღებული აქვთ ყველაზე უწინ ჩვენი საბჭოთა ქვეყნები. და ვინიცობაა, თუ იმათ რამე გაბედეს ჩვენ წინააღმდეგ, ჩვენც მზად უნდა ვიყვეთ. ამიტომ ჯერ კიდევ საჭიროა, რომ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ყავდეს თავისი წითელი ანუ სოციალისტური ჯარი. მაგრამ როგორც თქვენ იცით, ჩვენში უკვე გადადგმულია ნაბიჯები იქითკენ, რომ მუდმივი ჯარი თანდათან შეიცვალოს ხალხის **საყოველთაო შეიარაღებით.**

უნდა იცოდეთ, რომ დღევანდელ პირობებში ვერც ერთი სახელმწიფო, გარდა მუშურ-გლეხური სახელმწიფოისა, ასეთი ნაბიჯის გადადგმას ვერ გაბედავს. მარტო ამ ერთი ფაქტიდანაც თქვენ ნათლად შეგიძლიათ დაინახოთ, თუ რა დიდი განსხვავებაა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებასა და ბურჟუაზიულ ხელისუფლებას შორის.

ახლა აიღეთ და შეადარეთ ერთმანეთს ჩვენი წითელი ჯარი და ბურჟუაზიული ჯარები! ეს შედარება თქვენ ნათლად დაგანახებთ, თუ რა უფსკრულია საბჭოთა ქვეყნებსა და ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის. მე არ მინდა თქვენ თავი მოგაბეზროთ აქ ამ შედარებით. მიგითითებთ მხოლოდ ერთ მთავარ ფაქტზე, რომელიც ყველაზე უფრო დამახასიათებელია როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე ბურჟუაზიული ქვეყნების. აი რაში მდგომარეობს ეს ძირითადი ფაქტი: **ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს, სოციალისტურ წესწყობილებას**, რაც ნიშნავს **სრულ თანასწორობას** და **ძმობას**; ისინი კი ამაგრებენ **კაპიტალიზმს** და **კაპიტალისტურ წესწყობილებას**, რაც ნიშნავს **მონობას** და **ჩაგვრას.**

აქვე უნდა გითხრათ, რომ ამ დიდ საქმეში, რომელსაც **სოციალისტური აღმშენებლობა** ეწოდება და რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებენ, **წითელი ჯარიც ჩაბმულია და ღებულობს აქტიურ მონაწილეობას.**

წითელ არმიაში იყრის თავს ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი. წითელ არმიას, მის მომზადებას და გათვითცნობიერებას უდიდეს ყურადღებას აქცევს საბჭოთა ხელისუფლება. ყოველი ახალგაზრდა წითელ არმიაში ხდება შეგნებულ ადამიანად, ავის და კარგის მცოდნეთ, იგი ხდება ღირსეულ შვილად და მოქალაქედ თავისი სოციალისტური ქვეყნისა. ასე მომზადებული და შეგნებული იგი 1 ნახ. 2 წლის შემდეგ ბრუნდება თავის სოფელში ან თავის დაზგასთან. წითელმა ჯარმა იგი უკვე გადაამზადა, შეაგნებინა მას სოციალიზმის მნიშვნელობა.

ჩვენ ვიცით გამოცდილებიდან, რომ ყოველი წითელ-არმიელი, როცა იგი თავის სოფელში ბრუნდება, მას იქ უთუოდ რაიმე ახალი შეაქვს, იქ იგი გამოდის როგორც ახალი მოწინავე კულტურული ძალა. ის, რაც მან წითელ სოციალისტურ ყაზარმაში გაიგო და შეისწავლა, ყოველივე ეს მას გადააქვს სოფლად, ხშირად მეტად მიყრუებულ სოფელში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების სხივს ჯერ არ შეუნათებია, ან შეუნათებია მეტად სუსტად, მეტად მკრთალად.

წითელი არმიელის ასეთ მომზადებაში და გათვითცნობიერებაში ერთ უდიდეს როლს თამაშობს, რა თქმა უნდა, გაზეთი „**წითელი არმიელი.**" ვუსურვებ მას ამ დიდ საქმეში წარმატებას და სრულ გამარჯვებას!

გაუმარჯოს წითელ ჯარს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ფილიპე მახარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წითელი არმიელი" ქართული წითელი ჯარის ერთგული გუშაგია!

სალამი იუბილიარს.

გაზეთ „წითელი არმიელის" ისტორიაში დღეს გადაიშალა მეათასე ფურცელი.

„წითელ არმიელის" ისტორია—იგივე ქართული წითელი ლაშქრის ისტორიაა. „წითელ არმიელის" ზრდა და განმტკიცება—ქართული ლაშქრის ზრდა და განმტკიცებაა.

გაზეთ „წითელ არმიელმა" დაიწყო გამოსვლა სწორედ იმ დროს, როდესაც ქართულ წითელ ლაშქრის შედგენას პირველად ჩაეყარა საძირკველი, რომელზედაც შემდეგში უნდა განმტკიცებულიყო რევოლიუციონური ნებისყოფის, მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველი წითელი ლაშქარი. ცხადია, წითელ ლაშქრის მშენებლობაში ჩვენ არ გვქონდა გამოცდილება. ჩვენთვის ეს საქმე ახალი და უცხო იყო. ამიტომ საჭირო იყო ლაშქრის მშენებლობის დროს მთელი ენერგიის ამოძრავება მუშაობის ერთგვარ ჩარჩოში მოსაქ[illegible] მართალია წითელ ლაშქრის მშენებლობაში დიდ დახმარებას გვიწევდენ ჩვენი მოძმე რუსი წ. არმიის ხელმძღვანელები. მაგრამ აქ საჭირო იყო ადგილობრივი პირობებთან მუშაობის შეფარდება.

აი სწორედ ამ დროიდან ებმება გაზეთი „წითელი არმიელი" წითელ ლაშქართა მშენებლობის საქმეში. შესძლო მან თავის დავალების შესრულება? ამ კითხვაზედ პასუხის გაცემა არ გაუჭირდება იმას, ვინც ახლოს დგას „წითელი არმიელის" ყოველ დღიურ ცხოვრებასა და მუშაობასთინ. დიახ, გაზეთ „წითელ არმიელმა" შესძლო თავის დანიშნულების გამართლება. მან გაამართლა ის იმედები, რასაც ამყარებდა მას პარტია და რასაც მოითხოვდა მისგან მუშურ-გლეხური ლაშქრის ინტერესები.

მას ამ ხნის განმავლობაში ბევრი დაბრკოლებები ეღობებოდა მუშაობის პროცესში. მაგრამ მიუხედავათ ამისა მან შესძლო გადაელახა ყოველივე ეს და დღეს ქართულ ლაშქარს ისეთი იდეური მახვილი უპყრია ხელში, რომელიც სამხედრო საომარ იარაღთან ერთად მას ბევრ გამარჯვებებს მიანიჭებს მტერთან ბრძოლაში. ამიტომ საჭიროა გაზეთ „წითელ-არმიელმა" განაგრძოს მტკიცეთ აღებული ხელმძღვანელი როლი, რომელსაც ის ამ ხნის განმავლობაში ატარებდა წითელ ლაშქრის განმტკიცების საქმეში.

აგრეთვე მის უშუალო ხელმძღვანელთ, რომლებიც შემჭიდროებული არიან გაზეთ „წითელ არმიელის" ირგვლივ და ხელმძღვანელობენ მას ყოველ დღიურათ, უსურვებ მეტ ენერგიის გაზეთის განმტკიცების საქმეში.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ იუბილიარს გაზეთ „წითელ არმიელს"!

გაუმარჯოს წითელ ლაშქარს და გაუმარჯოს მის უშუალო ხელმძღვანელთ.

ს. ლომიძე



გაზეთ „წითელ არმიელის" რედაქცია.

მე-1000 №-ზე, ვაშა!

(ჩვენი გაზეთის ძველი თანამშრომლის ლექსი.)



ს. ერთაწმინდელი.

მარადიული იყო ყივილი, —
ეკლიან გზას, რომ ჰკაფავდა დარტყმით;
არ სწამდა დაღლა, კვნესა, ჩივილი,
თავ ანაღირი დაჰქროდა მზარ ხმით.
ამომავალ მზის სარკე. შვენება,
საბრძოლო ჰიმნად აიჭრა შვებით,
ესალბუნოდა მშრომელთ შენება'—
ნეტარ დროშების მაღლა აშვებით,
ოაზისების შექმნა ძიება.
მტრებს შეუტია ცეცხლიან შუბით;
ელვის ქამარზე ვით განძი ება,—
რიჟრაჟს ხვდებოდა წითელი შუბლით.
ზე აღმართული ურჩი ანისვლა
ეთერს ჰკოცნიდა ძლევის კალთებით;
ვალ-გადახდილი სისხლიანი სვლა
აელამაზა ვარდის ანთებით.
შნოიანი თქმით მოევლო ლაღ ქარს,—
ახალ სიმღერით მიუძღვის ლაშქარს.

ს. ე.

ათასი.

გაზეთ „წითელ არმიელის„ მუდმივ თანამშრომლის წერილი.

1921 წელს
ჩაეყარა საძირკველი პირველს საქართველოში მუშურ-გლეხურ წითელ ჯარს.
დიდი მუშაობა იყო საჭირო,
რომ კეთილად დაგვირგვინებულიყო ახალი საქმე.
დიდი მუშაობა იყო საჭირო



წითელი ჯარის შესაქმნელად,
რომელიც დარაჯად დაუდგებოდა მუშურ-გლეხურ საქართველოს.
სდგებოდნენ ლეგიონები,
ახალგაზრდობა ათასობით მიდიოდა ჯარში.
და აი, ამ გაცხოველებულ მუშაობის დროს გამოვიდა
„წითელი არმიელი"-ს პირველი ნომერი.
მან დაისახა მიზნად ხელი შეეწყო ქართული წითელი ჯარის ჩამოყალიბება---განმტკიცებისთვის
და
აემაღლებია წითელ არმიელთა მასის კულტურულ-პოლიტიკური დონე.
ხუთი წელია „წითელი არმიელი" ემსახურება ამ დიად მიზანს.
ბევრი დაბრკოლება ნახა მან ამ ხნის განმავლობაში.
მთავარი დაბრკოლება
—უსახსრობა.
ბევრჯერ „წითელი არმიელი"-ს არსებობა ეკიდა ბეწვზედ,
მაგრამ, მთელი ქართული ჯარის დახმარებით იგი დგებოდა ფეხზედ
და
მიდიოდა წინ.
დღეს გამოდის „წითელი არმიელი"-ს მე 1000-ე ნომერი.
ეს დიდი გამარჯვებაა მისი
და ამასთანავე
გამარჯვება
მთელი ქართული წითელი ჯარის.
მე-1000-ე ნომერი
მაჩვენებელია იმის, რომ „წითელი არმიელი" საჭიროა ჩვენთვის.
ამას ამტკიცებს ის სიყვარული, ის პატივისცემა, რომელიც დაიმსახურა მან
წითელ-არმიელთა შორის.
მე-1000-ე ნომრის გამოშვების დღეს ვუსურვოთ „წითელ არმიელს" მედგრად ევლოს შემდეგშიაც ნაცადი გზით
შევფიცოთ მას,
რომ ყოველთვის ვეცდებით
რითაც კი შეგვეძლება
ხელი შეუწყოთ
მის აღორძინებას,
მის წინსვლას.

ე. ხუციშვილი.

ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფას „წითელ არმიელს"

„წით. არმიელის" ყოფილი რედაქტორის წერილი.

დღეს გამოდის მეათასე ნომერი „წითელი არმიელის".

დღეს „წითელ-არმიელი" იხდის იუბილეს 1000 ნომრისას, დღეს ზეიმობს ის, და მეც, რომელსაც ჩემი წვლილი შემიტანია მის დაარსებაში და განმტკიცებაში, როგორ შემიძლია დავდუმდე, როგორ შემიძლია გავჩუმდე, რომ მთელი ჩემი აღფრთოვანებით არ მიუძღვნა მას მხურვალე სალამი და არშევძახო აღტაცებით „ვაშააა," დიახ, „წითელ არმიელი" ეს ხომ ჩემთვის კერძოთ ძვირთასი საყვარელი გაზეთია, ძვირფასი საყვარელი პირმშოა, რომელსაც დაარსებიდანვე ეგრე ველოლილებოდი თავზე, და ეგრე მიფანცქალებდა ყოველთვის გული მის თითეულ ნომრის გამოშვებაზე!

ძნელად გასასვლელ ნარ-ეკლებით და ბარდებით იყო მოფენილი გზა პირველი „წითელი არმიელის,"

მძიმე მატერიალური პირობები, ტეხნიკური მოუწყობლობა, თანამშრომლების და სამხკორების მოუმზადებლობა და ბოლოს უფ-შემადგენლობის მიერ (რომელშიაც მრავლად ერია ძველი ცარიზმის რეჟიმით გაჟღენთილი ვაჟბატონები) გაზეთის ათვალისწუნება, აი ის სიძნელენი, რომელშიაც უხდებოდა „წითელ-არმიელს" პირველად არსებობა.

მიუხედავად ამისა „წითელი არმიელი" კიდევ უფრო მეტი ენერგიით, კიდევ უფრო მეტი ძალ-ღონის დაჭიმვით განაგრძობდა მუშაობას და თან დათანობით იკრებდა თავის გარშემო და წვრთნიდა სამხკორებს და თანამგრძნობლებს, თანდათანობით იხვეჭდა სიყვარულს და პატივისცემას წითელ-არმიელების ფართო მასისას და საზოგადოებისას. დღეს კი, როცა „წითელ-არმიელმა" უკვე შესძლო გამხდარიყო მართლა გაზეთი საქართველოს წითელი არმიის, შეძლო შემოეკრება თავის გარშემო სამასზე მეტი სამხკორი და თანამშრომელი, შესძლო შესრულება თავის მისიის და მოვალეობის წითელ-არმიელთა აღზრდის საქმეში, სიხარულით მევსება სული და კიდევ ერთხელ აღფრთოვანებით და სიყვარულით შევძახი მას ალტაცებით-სალამი შენ ჩემო ძვირფასო „წითელ არმიელო", ვაშა შენ საქართველოს წითელ არმიისათვის დაუფასებელო და ერდგულო მეგობარო და ამხანაგო.

გაგიმარჯოს შენ.

პეტრე ქუთათელაძე.

გაზ. „წითელ „არმიელის" ასოთ-ამწყობნი.



ამ. ჭანკვეტაძე.
უძველესი სამხკორი გაზ. „წითელი არმიელი-"ს 1921 წლ.

მეათასე №-ს.

(ავტოპორტრეტი)

სხვებთან მეც მელოდი.
მოვდივარ:
ნახევრად—
შუბლზე მელოტით...
შემოდგომა შემოპარული!—
აზიდული წარბებით,
ნაღვლიანი თვალებით,
შეკრეჭილ ულვაშებით
და მაგარი კუნთებით—
რაჭველი მეომარი!
სამხკორის ხალისით
მზად ვარ—ავიღო თასი
და ვადიდო: შენი ათასჯერ
ღრუბლიან მასაში
მზიანი გადავარდნა!!

ს. ჭიჭინაძე

ისმინე წითელ არმიელო!

რამდენად უკეთესია და სასურველი ჩვენი დროის ყაზარმა და ჯარისკაცის წოდებულება!.. როგორ გამოიცვალა იმპერიალისტურ ომის და ზედმოწყოლე რევოლიუციის შემდეგ შეხედულობა სამხედრო მსახურზე საერთოდ!.. დიახ, აქ ითქმის—შუა უდევს დიდი ზღვარიო... წინანდელი მონამორჩილი სალდათი, ეხლა სრულუფლებიან, მოქალაქე წითელ-არმიელად გადაიქცა; სახრე ტყისა, მეხრე სხვისაო, თუ ითქმოდა ძველ მხედრობაზე დღეს ტყეც ჩვენია და მეხრეც ჩვენთაგანია...

ძველი დროის ყაზარმული ცხოვრება მეტად მოსაწყენი და ერთფეროვანი იყო. სამხედრო მსახურს არაფერი აღფრთოვანებდა, უცხო და პირდაპირ სამტრო იყო იდეა ამ სამსახურისა უმრავ მცხოვრებთა უმრავლესობისათვის; გაბატონებული, მბრძანებელი კლასი სახელმწიფოსი გულზე კი არ მიიბამდა მშრომელთა ბედიღბალს და ინტერესებს, პირიქით, ტყვია-ხიშტით უმასპინძლდებოდა კრინტის დამძვრელებს და მომთქმელებს:

—გვშიან!.. ტიტვლები ვართ!.. შელახულია ჩვენი ელემენტარული ადამიანური უფლებები... მოგვხედეთ, ჩაიხედეთ მუშის წიგნაკში, მთელი ნამუშევარი ჯარიმებშია გაბრილი... გადაჰხედეთ გლეხობის ხარჯ-ბეგარას. ვერ ასდის, მშიერია მუდამ, სტრაჟნიკ-პრისტავების ამარაა დატოვებული სოფელი... არც კანონი, არც სამართალი მისთვის. გამათრახებაა ყველასი და გაციმბირება!..

ასეთი იყო პასუხი, ეს იყო ფარხმალი ძველი რეჟიმისა.

ძველი რეჟიმის ყაზარმა გულჩათხრობილი რაღაცას გულსაკლავად ზმუოდა. მისი მცხოვრების ხელით ჩაიკვლოდა ფაქიზი აზრი და გრძნობანი მამების, დედების, დების, ძმების, მეგობრების და ყველა თვისტომის, იხდნენ დამონებულნი თითქმის 40 სხვა და სხვა მოდგმის შვილნი, დაშინებულნი, ფარაჯებში და ყოველი თავის ენაზე დასტიროდა თავის ბედ ბედს ჯალათისა თავისიანებზე, ბურჟუა-წურბლების საკეთილდღეოდ, უმაღლეს წოდებათა ბატონობისთვის.

მოიტანა ვინმემ ყაზარმაში გაზეთი, წიგნი... წამს გაჰქრება მისი სახსენებელი, გამოეხმაურა, უთხრა რამე ჯარის კაცს პოლიტიკაზე, მუშაობა, მამულ დედულის შესახებ... ჟანდარმი წამოგადგება თავზე და მალე ციმბირი უკან დაგირჩებოდათ. შეიმოაპარა გათვითცნობიერებულმა ჯ. კაცმა. „პროკლამაცია"... მეორე დღეს ნაწილის მთელი ყუთები ამოტრიალებული, თავიანთი ლეიბები ფაშვებ გამოყრილი დაგვხდებოდათ...—იპოვნეს ფურცელი, სადაც ამოიკითხავდით: „ჯ. კაცო, შენც შვილი ხარ ტანჯული ხალხისა... არ უნდა ესროლო დემონსტრაციაზე გამოსულ მუშებს... ზაბასტოვკა მუშისთვის დიდი ტანჯვის მომტანია. მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს ამ გულქვა წესწყობილების და მტარვალების წინააღმდეგ... და სხ." მომაკვდინებელი ცოდვათ, უმაღლესი დანაშაულად ამის მონათვლა და კატორღა—სადისციპლინო ათასეული ზურგზე ეკერა ასეთ გაბედულ ჯ. კაცს.

უაზრობა თვით სამსახურისა ძველად, უკულობა და მოწყენილობა სამსახურში, დევნაწამება პატარა რამ შუქის შემტანისა ძველ ყაზარმაში, მსხვერპლად მიტანა ყველასი და ყველაფრისა მეფურ რეჟიმისთვის,—აი შთაბეჭდილება ძველ ნამსახურისა ძველი ყაზარმისაგან.

ეხლა?.. ეხლა ძირფესვიანად შეცვლილია საქმეც და სიტყვაც, ძველი ღვთის წყალობა, რისხვა-კრულვად გაქცეულა და ღმერთს თან გაჰყოლა მეფეც და მისი დამქაშებიც, ძველი წეს-რიგი და მაშინდელი კანონიერება—შეხედულებაც. მუშა-გლეხს გაუთენდა; შეგნება განათლების მზე ამობრწყინდება, ამის გამო ყოველგვარ უბადრუკობის ნაშთებს და ამ მზეს არავინ აღუმართავს „გარდუვალ კედელს"—ყაზარმაში არ შეანათოსო.

პირიქით, აქეთ, ამ მოზრდილ შეგირდთა სასახლეებისაკენ არის მიპრუნებული სახელმწიფო მოღვაწეთა გონებაც და აზრიც. რაც შეიძლება მეტი სწავლო წ. არმიელს, რაც შეიძლება მეტი განვითარება წითელ არმიელს, რაც შეიძლება მეტი ახსნა, მეტის შესწავლება წითელ მოქალაქე—დამცველს. წ. არმიელი თავის მომავლის მჭედელი და სამჭედლოა მისი დროებით საცხოვრებელი ყაზარმები, რომლებშიაც გამოიჭედება სრული ადამიანი, რომელშიც ჩამოყალიბდება მეომარი მძლე, ქველი, შემმართველი, ფოლადის ნებისყოფის, შეგნებული მახური, რევოლიუციის აზრის სრული შემგნები და მის მონაპოვართა შეუდრეკელი დამცველი.

ვინ აღზრდის, ვინ გამოსჭედავს ამ შეუპოვარ დევ-გმირთ ჯარში და თავდადებულ მუშაკთ ჯარს გარეშე?

სიტყვა, მართებული სიტყვა, დროზე მიწვდილი სიტყვა, საჭირბოროტო საკითხების შესახები სიტყვა, სიტყვა მართალი, მიუდგომელი, ყველაფრის სასიკეთოს მთქმელი და გამოსავლის არ მიმჩქმალველი სიტყვა.

ასეთი სიტყვის მიმწვდელი იყო ჯარისთვის გაზეთი „წითელი არმიელი". 1000 ნომერი გაზეთისა და ვინ იცის რამოდენა გულს სალბუნად მომცხები სიტყვა!.. მისალოცია ასეთ მადლიან სამსახურისთვის ჩვენი გაზეთი და ვუსურვებთ კვლავ ნაყოფიერად განაგრძოს თავისი სამსახური საქართველოს და მთელი კავშირის წითელი ჯარების სასარგებლოდ.

ქართულ სარედაქციო კომისიის დავალებით
ლ. ცაგარელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სამხკორები „წითელი არმიელი“ს შესახებ.

გაზ „წითელ არმიელს“ მე-1000 ნომრის გამო.

შენი იუბილე გვახარებს ყველა შენს მკითხველებს, —იმიტომ, რომ შენ ხარ ერთგული მეგობარი და მესაიდუმლე იმ ახალგაზრდობის, რომელიც ახლად ეწაფება განათლებას.

ხშირად გვინახავს მკითხველის მიერ შენი ხარბად წაკითხვა, რადგანაც შენ იმისთვის ახლო და გასაგები ხარ, რადგან შენ მკითხველი მიგყავს ახალი ცხოვრებისაკენ და ეხმარები იმ უდიდეს ვეშაპის დამარცხებაში, რომელსაც სიბნელე ჰქვია!

იყავ ძლიერი და დღეგრძელი!

მაღლა გეჭიროს ის ჩირაღდანი, რომლითაც შენს საყვარელ მასას წინსვლას უადვილებ.

სამხკორი **სოსო ვაჩანიშვილი.**

გაზ. „წითელ არმიელის“ მე-1000 ნომერი.

უკვე მეხუთე წელია გაზეთ „წითელ არმიელმა“ თვალსაჩინო როლი ითამაშა ჩვენი ქართული წითელი ჯარის განმტკიცების საქმეში. ის დაუღალავ ტრიბუნას წარმოადგენდა, რომელიც ქადაგებდა ბრწყინვალე მომავალზე, ის საუკეთესოთ ანსახიერებდა ჯარის ყოფა-ცხოვრებას და ყოველ მის ნაკლზე და მიღწევებზე უთითებდა მუდამ.

ჩვენს წინაშე დღეს მე-1000 ნომერია „წითელ არმიელის“; ჩვენმა საყვარელმა გაზეთმა ათასი ნომრის გამოცემაში, გაიარა მეტად მძიმე და ეკლიანი გზა, მაგრამ მაინც ის საუკეთესო განმსახიერებელი ორგანო იყო წითელ ყაზარმის ყოფა-ცხოვრებისა... ჩამოყალიბდა 1921 წელს ჩვენი წითელი ჯარი, გამაგრდა წელში და 1924 წ. კი ვხედავთ, რომ მისი მეორე ნახევარი ტერიტორიალურ აღმშენებლობას შეუდგა; ჩატარდა პირველი ორგანიზაციული შეკრება ტერ არმიელებისაც... ამ საქმიანობაში გაზეთ „წითელ არმიელმაც“ საკმაოდ დიდი ინიციატივა გამოიჩინა, ის „აგურს-აგურზე ადებდა“ და ისე აშენებდა ქართულ წითელ ჯარის წყობილებას სწორი ხელმძღვანელობით.

მე-1000 ნომერი ჩვენი გაზეთისა, ერთი ხმამაღალი ამოძახილათ უნდა გახდეს და ყოველმა ჩვენგანმა, ვისაც კი წითელი ჯარი უყვარს, უფრო მეტად უნდა გაავრცელოს გაზ. „წითელი არმიელი“ მასაში...

სალამი და გამარჯვება გაზ. „წითელ არმიელს“ და მის რედაქციის მთელ შემადგენლობას მომავალ მეორე ათასეული ნომრების გამოცემის საქმიანობაში!.

ჰანტურიშვილი.

გაზეთ „წითელ არმიელის“ რედაქციას.

მე-3 ქართ. მსრ. ლეგ. მთელი შემადგენლობა გიძღვნით თქვენ მხედრულ სალამს იმ დიად კულტურულ საქმისათვის, რომელსაც ჩვენი გაზეთი ეწეოდა დღემდის. შემდეგისათვის გისურვებთ გაასკეცებულ მუშაობას სოციალიზმის და კომუნიზმის დასამყარებლად.

გაუმარჯოს ჩვენს ერთგულ დარაჯს გაზეთ „წითელ არმიელს“ და მის მეათასე ნომრის იუბილეს.

ლეგსამხკომი **შავლაძე.**

რატომ შევიყვარე მე გაზეთი „წითელი არმიელი“?

გაზეთ „წითელ არმიელის“ № 320-ში 1923 წელს პოლიტგანყოფილების ყოფილი უფროსის ამხ. თენგიზ ჟღენტის მიერ მოთავსებული იყო წერილი „წერილი ამხანაგ წ.-არმიელს“, რომელიც დაბეჭდილი იქნა 8 ნომერში.

სწორეთ ამ წერილმა შემაყვარა მე და ბევრი ჩემი ამხანაგები წითელი არმიელებიც ძვირფასი გაზეთ „წითელი არმიელი“.

ამ დროს ჩვენი ნაწილი იდგა ბანაკში. ერთ საღამოს 10 კაცამდის თავმოყრილი ვისვენებდით კარავის ჩრდილში. გრძელი სიცილ-საუბრის შემდეგ მე ვისურვე გაზეთის წაკითხვა და ზემო აღნიშნული წერილი წავიკითხე ხმა მაღლა ჩემს ამხანაგებს. თუ რა შთაბეჭდილება დასტოვა ამ წერილმა ჩვენზე მე არ შემიძლიან გადმოცემა, მხოლოდ უნდა მოვიგონო ის, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ ყველა ათმა კაცმა მომმართეს მე რათა გამომეწერა მათთვის ჩვენი გაზეთი.

რასაკვირველია, მე მათ გამოუწერე გაზეთი და სწორეთ ამ დღიდან ჩვენი გაზეთი გახდა ჩვენთვის საუკეთესო მეგობარი. ყოველ თავისუფალ დროს ჩვენ ვიყავით ჩვენს საყვარელ გაზეთთან და როდესაც დადგა დრო შვებულებისა, ბევრმა მათგანმა გამოიწერეს ის სოფელში, „ჩემს მეგობარს მე ვერ დავტოვებ“ —იყო მათი სიტყვა.

მეორე არტლეგ. სამხკორთა წრე.

ამიტომაც მე მსურს დღეს ჩვენი გაზეთის დღესასწაულის დროს უძღვნა მას მხურვალე, ამხანაგური და მეგობრული მადლობა. მან შეგვაყვარა თავისი თავი 1901 წ. დ. არმიელებს, ასევე შესძლებს ის 1903 წ. არმიელების მიმართ. გაუმარჯოს „წითელ არმიელის“ 1000 ნომერს“.

ძველი სამხკორი

ალექს. პაპოვი.

სალამი წითელარმიელის განუშორებელ მეგობარს.

გაზ. „წითელ არმიელს“ ჩვენთვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს და იმიტომ გვიყვარს ის ისე ძლიერ. ის თითეული ქართველი მეომრის სულიერი საზრდოა იმდენად, რამდენადაც ის აცნობს, უხსნის და არკვევს მას მისთვის საინტერესო და საჭირბოროტო საკითხებში.

საჭიროა ყველამ შევიგნოთ ეს და ვეცადოთ აღმოუჩინოთ მას ყოველმხრივი დახმარება.

რას გვეუბნება გაზ. „წითელ არმიელის“ მეათასე ნომერი? არ უნდა დარჩეს არც ერთი წითელი არმიელი, რომ არ გამოიწეროს ის და ამასთანა ერთად არ გაავრცელოს მშრომელთა ფართო მასებში. თითეული პატიოსანი მხედრის ვალია მჭიდროდ დაუკავშირდეს მას.

დე, გაზ. „წითელ არმიელის“ მეათასე ნომერი შეიქნეს მისი განმტკიცებისა და ყოველმხრივი გაუმჯობესების საწინდარი.

გაუმარჯოს ჩვენი ორგანოს მომავალში განმტკიცების საქმეს და მის მკითხველებს—საამაყო წითელ ლაშქარს.

სამხკორი დ. ლომაძე.

როგორ გავხდი სამხკორი.

1923 წელში გამიწვიეს წითელ ჯარში. მოვხვდი 1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონში, სადაც მოკლე ხანში არჩეული ვიქენ სამხკორათ. მე წარმოდგენაც არ მქონდა, თუ როგორ შეიძლებოდა გაზეთში წერილის წერა. მაგრამ აქ მოვიგონებ ჩემს პოლიტხელს ამხ. ზამთარაძესა და სამხკორების ორგანიზატორს ამხ. ბერიძეს, რომლებიც დიდ დახმარებას მიწევდენ ამ დარგში. როდესაც ჩემი პირველი წერილი დაიბეჭდა გაზეთ „წითელ არმიელ“-ში, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, მინდოდა სულ მეწერა. მას შემდეგ არ გამიწყვეტია კავშირი ჩემს საყვარელ გაზეთ „წითელ არმიელ“-თან და გან ვაგრძნობ სამხკორობას. დღეს მე-1000 ნომერის გამოსვლის გამო, მივესალმები მას და ვუსურვებ ათასობით და ასი ათასობით ალეზარდოს შეგნებული სამხკორები,—ეს ჩვენი არმიის თვალი და ყურები.

მუდამ და ყოველთვის დიდის პატივისცემით მოვიგონებ აგრეთვე ჩემს აღმზრდელებს ამხ. ამხ. ზამთარაძესა და ბერიძეს.

სამხკორი გ. სიხარულიძე.

ცხენ. ლეგ. სამხკორები.

გაზეთი „წითელ არმიელი“ ჩვენი აღმზრდელია.

წითელ არმიაში გაწვევამდე გაზეთ „წითელ არმიელს“ ვერ ვიცნობდი, მაგრამ გამოწვევის შემდეგ ის შეიქმნა ჩემი აღმზრდელი და მასწავლებელი, რადგან ის მტკიცედ ემსახურება და ზრდის წითელი არმიის აზრსა და ამაღლებს მის სამხედრო ცოდნას.

დღეს ჩვენი გაზეთის მეათასე ნომერი შესანიშნავია კიდევ იმით, რომ მთელი თავისი არსებობის განმავლობაში მან ბევრი მუშისა და გლეხის შვილებს შეაყვარა კითხვა, სწავლა და განავითარა მათში სამხედრო, პოლიტიკური და კულტურული მუშაობისადმი სიყვარული, რომელიც აუცილებელია ჩვენი ხელისუფლების მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

გაუმარჯოს გაზეთ „წითელ არმიელის“ მეათასე ნომერს და მუშათა და გლეხთა წითელარმიას, რათა თავის გაზეთთან ერთად მტკიცე სამსახური გაუწიოს მუშების და გლეხების ხელისუფლებისთვის.

წით. არმიელი კალისტრატე მინდიაშვილი.

პირადი მოგონება.

ჩემი საკორესპონდენტო ასპარეზზე მუშაობა იწყება 1922 წლიდან. არავის მიერ არ ვყოფილვარ არჩეული და თვით ჩემი სურვილით შევუდექი კორესპონდენტობას 1923 წლამდე. 1923 წელს კი არჩეული ვიქენი პარტ-ორგანიზაციის მიერ თემის მასშტაბით მუშკორათ 1925 წლის აპრილამდე. 1925 წლის აპრილიდან სისტემატიურათ ვთანამშრომლობ გაზეთ „წითელ არმიელის“ ფურცლებზე. ვწერ ხშირად მიღწევებზე და ნაკლზე.

დღეს იცემა ჩვენი გაზეთის „წითელ არმიელის“ მე-1000 ნომერი, რომელიც დიდ სამსახურს უწევდა და უწევს ჩვენ წითელ ლაშქარს. მეც ჩვენი გაზეთის მეათასე ნომერზე ავიმაღლებ ხმას და ვიტყვი, რომ დაუღალავი ენერგიით ვიმუშაო ჩვენი ქართული წითელი ლაშქრის საამაყო გაზეთ „წითელ არმიელის“ გავრცელებაში და მის ფურცლებზე მუშაობაში.

გაუმარჯოს გაზეთ „წითელ არმიელის“ მეათასე ნომერს. გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქარს, რომელიც ღებულობს გათვითცნობიერებას და განვითარებას ჩვენი გაზეთ „წითელი არმიელის“ საშვალებით.

ახკორი გ. შარვაშიძე.

„წითელ არმიელის“ არსებობის პირველ დღეებიდან

(მოგონება).

1921 წელია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ რამოდენიმე თვის ისტორია აქვს.

ინტელიგენცია, ყოველგვარი სახელმწიფოებრივი საქმიანობიდან განზე გამდგარა და „რაღაცას ელის“. მუშურ-გლეხურ მთავრობას ყოველ ფრონტზე საკუთარი ძალებით უხდება ბრძოლა.

საქართველოს წითელი არმია თანდათან ყალიბდება. წითელ არმიელებში პოლიტიკურ კულტურული მუშაობა ჩაღდება.

წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველო უკვე მოეწყო და იგი მეთაურობს ჯარში ყოველგვარ პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობას.

ჯარისთვის მაშინ გამოდიოდა გაზეთი „წითელი მხედარი“, რომელსაც სცემდა განათლების კომისარიატთან არსებული მთავარი პოლიტიკური განათლების განყოფილება. გაზეთს რედაქტორობდა ამხ. სანდრო ქურიძე.

არმიის პოლიტსამმართველომ რომელსაც მაშინ მეთაურობდა ამხ. კ. ოკუჯავა, მიზანშეუწონლათ სცნო „წითელი მხედრის“ ცალკე არსებობა და დაადგინა გამოეცა საკუთარი გაზეთი წითელ არმიელებისათვის. საქმის ტეხნიკურად მოგვარება დაევალა ამხ. პ. ბუჩიძეს და პ. ქუთათელაძეს. გადაწყდა გაზეთს დარქმევოდა „წითელი არმიელი“.

ამნაირათ 1921 წლის 21 აგვისტოს გამოვიდა „წითელი არმიელი“ № 1.

მაშინ გაზეთის რედაქცია მოთავსებული იყო რუსთაველის პროსპექტზე № 32-ში რედაქციაში მუდმივათ მუშაობდა მხოლოდ სამი კაცი.

წითელ არმიელებთან კავშირი გაზეთს ცუდათ ჰქონდა მოწყობილი. წითელ არმიელებისათვის გაზეთი ახალი ხილი იყო და ეხლა რომ ჩვენ გაზეთს უკვე კარგათ გაწვრთნილი სამხკორები ჰყავს, მაშინ ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. ხშირათ რედაქციის წევრებს თვით უხდებოდათ ნაწილებში სიარული კორესპონდენტების ამორჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი კვირაში მხოლოთ ერთხელ გამოდიოდა, მასალები ადგილებიდან მაინც ცოტა იყო.

საზოგადოთ მაშინ გაზეთს ცუდ პირობებში უხდებოდა არსებობა. გვაბრკოლებდა ბეჭდვის პირობები, ცუდათ იყო მოგვარებული სარედაქციო მუშაობის პირობებიც. არც თანამშრომლები იყვნენ უზრუნველყოფილნი. ყოველდღიურათ პურის განსაზღვრული რაციონი გვეძლეოდა და ხანდახან ორი დღის ულუფას ერთი დღე მოვსპობდით და შემდეგ... შემთხვევით სადილზე ვოცნებობდით.

ასე იყო მაშინ, მაგრამ ასე აღარ არის ეხლა. მომაგრდა საბჭოთა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, განმტკიცდა საბჭოთა ხელისუფლება და გაუმჯობესდა გაზეთის მატერიალური მდგომარეობა.

გაზეთი „წითელ არმიელი“ უკვე ყოველდღიური გაზეთია და იგი ითვლის საკუთარი არსებობის მეათასე ნომერს.

„წითელ არმიელს“ დღეს უკვე სამხკორების საკუთარი არმია ყავს. უწინ თუ კვირაში 2—3 წერილი არ მოსდიოდა რედაქციას, დღეს რამოდენიმე ოცეული წერილს ღებულობს ყოველდღიურათ.

ჰქონდა „წითელ არმიელს“ თავისი არსებობის გაჭირვების ხანა. იგი ჩაბარდა ისტორიას.

ძველი.

სამხკორები-წითელი ჯარის საუკეთესო აღმშენებლებია

სამხკორთა მუშაობა 1-ლ ლეგიონში და ჩვენი გაზეთი.

გასულ წელს პირველ ლეგიონმა უვადო შვებულებაში გაუშვა ჩვენი ლეგიონის სამხკორთა წრის რამოდენიმე ათეული სამხკორი, რომლებიც ქალაქებში, სოფლებში მუშა და გლეხი კორესპონდენტები არიან. მათი წასვლისას ჩვენი სამხკორთა წრე რიცხობრივათ შემცირდა ასე, რომ განსაკუთრებული მუშაობა დარჩენილ სამხკორებში შეუძლებელი იყო. მაგრამ როდესაც მივიღეთ 1903 წელში დაბადებული წითელ არმიელები, ჩვენი ძველი სამხკორები მათი მიღების დღიდან იწყებენ მუშაობას ახალწვეულებთან, რომ ახალწვეულებიც გაცნობოდენ სამხკორთა მუშაობის ამოცანებს.

სამხკორთა ბიურომ ახალწვეულების მოსვლამდისაც გაატარა წინასწარი მუშაობა, რამაც შემდეგში კარგი შედეგი გამოიღო. ახალწვეულებში ძველმა სამხკორებმა დაიწყეს სისტემატიური მეცადინეობა. სამხკორები იწყებენ წრეების ჩამოყალიბებას ასეულების მაშტაბით ახალწვეულთა შორის.

ლეგიონში ჩამოყალიბებულია 10 წრე ასეულებში, რომლებზედაც მიმაგრებული არიან ძველი სამხკორები. სამეცადინო დღეთ დანიშნული გვაქვს კლუბში ყოველი ორშაბათი. სახელმძღვანელოთ მიჩნეული გვაქვს „დივიზიის სამხკორთა კონფერენციის დადგენილებები“ და გაზეთ „წითელ არმიელი“-ს რედაქციის მიერ გამოცემული „როგორ ეწყობა სამხკორთა ორგანიზაცია ნაწილებში“. გარდა ამისა სწარმოებს აღრიცხვა იმ წითელ არმიელებისა, რომლებმაც დაიწყეს კორესპონდენტობა. ყველა ისინი თავის სურვილით მიზიდული არიან ასეულების წრეებში.

სამხკორთა ბიუროს მიერ მუშავდება ყოველთვის, მუშაობის თვიური გეგმა, სადაც გათვალისწინებულია მთელი მისი მუშაობა.



გამომუშავებელ გეგმას ამტკიცებს ბიურო კოლექტივი.

პარტ-ბიურო კოლექტივი კარგ ხელმძღვანელობას უწევს სამხკორთა წრეებს სათანადო დირექტივების მიცემით. არავითარ დაცინვას, ცენზურას და დევნას სამხკორებზე ლეგიონში ადგილი არ აქვს. ბიურო-კოლექტივი ძლიერ დაინტერესებულია სამხკორთა მუშაობით. ყოველი ასეთი არა ნორმალური შემთხვევას მის მიერ მალე ეღება ბოლო.

ბიურო-კოლექტივის მდივანი ამხ. კვირაია დიდი მადლობის ღირსია, რომელიც დახმარებას გვიწევს და გვაძლევს სათანადო დირექტივებს მუშაობის თავის დონეზე დაყენებისათვის. იანვრის თვეში უნდა ჩამოყალიბდეს ლეგ. ძირითადი წრე, რისთვისაც უკვე გადადგმულია სათანადო ნაბიჯები. საერთო დაინტერესება წითელ არმიელებისა დიდია. ყველას სურს გახდეს წევრი სამხკორთა წრის და ბევრი ეწერება ჩვენს წრეებში.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ 1-ლ ლეგიონის სამხკორთა წრე და მისი სამხკორები, როგორც დღემდის, ისე შემდეგშიდაც შეასრულებენ ყველა იმ დავალებებს, რომელსაც აკისრებს მათ ჩვენი გაზეთი „წითელი არმიელი“. სამხკორები ერთი წუთით არ გასწყვეტენ კავშირს ჩვენს გაზეთთან და მომავალში ხელს შეუწყობენ მის არსებობას და სწრაფი ნაბიჯით წინსვლას ჩვენდა აღსაზრდელად.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

ჩვენი ლეგიონის სამხკორთა ორგანიზაცია და მისი მუშაობა.

მე-3 ლეგიონი.

აღნიშნულ ლეგიონს მხოლოდ ერთი წლისა და ხუთი თვის ისტორია აქვს.

როგორც სხვა ყველა დარგებში, აგრეთვე, სამხკორთა ორგანიზაციის საქმეში გაჩაღებული მუშაობა სწარმოებს. დღეს ჩვენს ლეგიონს ჰყავს 18 სამხკორი და 82 კედლის კორესპონდენტი. უვადო შვებულებაში გაშვებული იქნა 12 „წითელ არმიელის“ სამხკორი, რომლებიც ამ ჟამად გლეხკორობას ეწევიან.

რა გააკეთეს სამხკორებმა.

დღიდან ჩვენი ლეგიონის დაარსებისა, ჩვენი სამხკორების მიერ მოთავსებული იქნა გაზ. „წითელ არმიელში“ 980 კორესპონდენცია. აქედან პარტცხოვრების შესახებ—180.

სამხედრო საქმის—115; სხვა და სხვა ნაკლულოვანებებზე—245; სამგლოვიარო 4, ლეგიონის ცხოვრებიდან—110 და სხვა და სხვა შინაარსის—320; ფოსტაში ნაპასუხებია—215-ზე რედაქციის მიერ ლეგიონში გადმოგზავნილია, ზომების მისაღებად—3. მათში ყალბი შინაარსის კორესპონდენციები მოთავსებული იყო—12 წერილი, რაც გამოირკვა სათანადო კვლევა ძიების შემდეგ.

სამხკორთა წახალისების მიზნით მოწყობილი იქნა—4 ექსკურსია სხვა და სხვა ადგილებზე.

იყო სამხკორის დევნის ერთი შემთხვევა 1924 წელში რაც აღმოფხვრილი იქნა თვით „წითელ არმიელის“ რედაქციის დახმარებით.

ამ ჟამად ლეგიონში სამხკორთა წრე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. არსებობს სამხკორთა სემინარები და სხვა.

თუ ჯამს გაუკეთებთ ჩვენი ლეგიონის სამხკორთა მუშაობას ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი შედეგების მიღება შეიძლება.

მომავლისათვის ჩვენი ლეგიონი კიდევ უფრო ენერგიულად გააგრძელებს მუშაობას სამხკორთა კადრის მოსამზადებლად.

გაუმარჯოს მის ენერგიული მუშაობას, და მის შტაბს „წითელ არმიელის“ რედაქციას.

სამხკორი ა. ჭკადუა.

მესამე ლეგ. სამხკორთა ერთი ჯგუფი.

1000-ის თავზე.

მახსოვს, როგორ სანთლით საძებარი იყო, ჩვენი გაზეთისათვის კორესპონდენციები. ხშირად ნაწილიდანაც კი გამოგვიძახებდენ რედაქციაში და

გვესაუბრებოდენ, გვარიგებდენ, გვასწავლიდენ, თუ როგორ და რაზე გვეწერა და უზრუნველგვეყო ის მასალებით. ასეთი დრო მრავალჯერ ჰქონდა ჩვენს გაზეთს. მაგრამ სულ სხვაა ეხლა. თავისი საყვარით, მან შესძლო ჩვენი დარაზმვა და აშკარად დაგვარწმუნა, რომ მას ჩვენთვის კეთილი სურს.

ჩვენი გაზეთის გარშემო ამ ჟამად ასეულობით ვართ შემოკრებილი სამხკორი წითელ არმიელები და ეხლა ჩვენ ვასწავლით სხვას იმას, რასაც ერთ დროს ჩვენ ძალიად გვასწავლიდა ის. ის ჩვენი გულის მესაიდუმლეა და მისგან გამოზრდილი ახალგაზრდები საუკეთესო აღმშენებლებია ჩვენი ნაწილების.

„წითელ არმიელი“-ს მეათასე ნომერი ამ გარემოების მჭერმეტყველურად დამამტკიცებელია. სალამი მას, დიდება მის საქმეს.

სამხკორი ლ. გიორგაძე.

ჩვენი სამხკორები



რამოდენიმე სიტყვა ჩვენს მიღწევებზე.

ჩვენი გაზეთის მეათასე ნომრის გამოსვლის დღესასწაულის დროს საჭირო იქნება რამოდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ გატარებულ მუშაობიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა—სამხკორთა და კედლის გაზეთების მუშაობა ჩვენს ნაწილებში.

სამხკორთა ქსელი.

ჩვენი გაზეთის თანდათანობითი გაუმჯობესებებთან ერთად უმჯობესდებოდა და წინ მიიწევდა სამხკორთა მუშაობაც. თუ ჩვენ გადავავლებთ თვალს წარსული წლების მუშაობას ამ დარგში, დავინახავთ, რომ სამხკორთა ქსელი იწყებს ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას 1924 წლიდან, თუმცა ამითი იმის თქმა არ შეგვიძლია, რომ ამ წლამდე სამხკორთა მუშაობა არ ყოფილიყოს ჩვენს ნაწილებში. აშკარაა ჩვენს ნაწილებში აღნიშნულ წლამდე მოიპოვებოდენ სამხკორები, რომლებიც არ იყვნენ ორგანიზაციულად შეკავშირებული და მათ შორის არავითარი პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა არ სწარმოებდა. რომ სამხკორთა მუშაობა ჩქარი ნაბიჯებით წავიდა წინ და მიდის ამ ჟამათაც ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ციფრები: 1923 წელში ოქტომბერში სამხკორთა რიცხვი უდრიდა 35 კაცს, 1924 წ. ოქტომბერში 100 და 1925 წ. ოქტომბერში კი ეს რიცხვი ავიდა 300 მდე.

თუ ავიღებთ მხოლოდ 1925 წელს, ჩვენ დავინახავთ შემდეგ სურათს:

იანვარში	გვყავდა	112	სამხკ.
თებერვალში	„ „	89	„
მარტში	„ „	97	„
აპრილში	„ „	120	„
მაისში	„ „	122	„
ივნისში	„ „	133	„
ივლისში	„ „	165	„
აგვისტოში	„ „	200	„
სექტემბერში	„ „	240	„
ოქტომბერში	„ „	300	„
ნოემბერში	„ „	310	„
დეკემბერში	„ „	325	„

ამ ციფრებიდან ჩვენ დავინახავთ, რომ სამხკორთა რიცხვის ზრდა ხდებოდა ნორმალურად. მაგრამ მარტო რიცხობრივად ზრდა არ იქნებოდა კარგი, თუ არ გვექნებოდა სამხკორთა ზრდა ხარისხულადაც.

რომ სამხკორთა რიცხობრივ ზრდას თან ახლდა ხარისხობრივი ზრდაც, ამას მტკიცება არ სჭირია.

საკმარისია წაიკითხოთ ჩვენი სადივიზიო და ნაწილების გაზეთები და ამის მიხედვით შეაფასოთ სამხკორთა მუშაობა ჩვენს ნაწილებში. ამასთანავე ერთად ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის წამკითხავიც აშკარად დაინახავს, რომ სამხკორთა მუშაობა მართლაც თავის დონეზე დადგა და ამის შედეგად კი ჩვენ მივიღეთ მომზადებული და გათვითცნობიერებული სამხკორები. ავიღოთ სამხკორთა მუშაობის ერთ-ერთი მაგალითი იმ მასალებიდან, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება ამ ჟამად: 1923 წელში ოქტომბრის თვეში რედაქციას სამხკორებისაგან მიუღია 87 კორესპონდენცია, რომელთაგან არ გაუშვია მხოლოდ 12 ცალი, 1924 წელში ოქტომბერში მიუღია 256 კორესპ. აქედან არ გაუშვია 30 ცალი, 1925 წელში ოქტომბერში კი მიუღია 460 კორესპონდენცია და აქედან არ გაუშვია 80 კორესპონდენცია.

1925 წელში მთელი წლის განმავლობაში რედაქციას სამხკორებისაგან მიღებული აქვს 4.868 კორესპ., რომელთაგან გაშვებულია 3.968 კორესპ., არ დაბეჭდილა კორესპონდენციების უვარგისობის გამო 900 კორესპონდენცია. საშუალო რიცხვით ამ წელში ყოველ თვეში გასულა 340, არ გასულა—75 კორესპ.

დიდი მიღწევის წლად ჩვენ სამხკორთა მუშაობაში უნდა ჩაითვალოს აუცილებლად 1925 წელი. ამ წელში ყველა ნაწილში უკვე კარგად ჩამოყალიბდა სამხკორთა წრეები და დაწყებულ იქნა ამ წრეებში მეცადინეობა, ფართო ხასიათი მიეცა კედლის გაზეთების მუშაობას და სხ. თუ წარსულ წლებში და ნაწილობრივ 1925 წლის დასაწყისში ადგილი ჰქონდა სამხკორთა მუშაობაში მრავალ გაუგებრობებს, შეცდომებს და სუსტ მუშაობას, 1925 წლის უკანასკნელ თვეებში ყოველივე ამას მოეღო ბოლო ჩვენი რედაქციის სწორი ხელმძღვანელობით და ნაწილების პარტორგანიზაციების დახმარებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ წელში ჩვენი მიღწევები ტერ-შეკრებისა და წვევამდე მზადების საქმეში. არ დარჩენილა არც ერთი წერტი, რომ ამჟამად არც ცემდეს კედლის გაზეთს და მის მუშაობაში მონაწილეობას არ ღებულობდენ წვევამდელი—სამხკორები.

ამ მუშაობასთან ერთად სამხკორებმა კარგად შეიგნეს ჩვენი გაზეთის მატერიალური სიღარიბე. ამიტომ ყველა სამხკორმა გაიხადა სავალდებულოდ გასწიოს ფართო პროპაგანდა მასაში გაზეთის ფასიანად გავრცელების შესახებ, რომ ამით უზრუნველყოფილ იქნეს გაზეთის გამოცემის საქმე.

მომავალში ჩვენ კიდევ უფრო მეტ გამარჯვებებს მივაღწევთ ამ დარგში. სამხკორთა მუშაობა უმჯობესდება და წინ მიიწევს სწორი გზით. ჩვენი გაზეთის ხუთი წლის თავზე ჩვენ კიდევ წინ წასული და სამხკორთა ორგანიზაცია გაფართოებული ვიდღესასწაულებთ უფრო დიდ მიღწევებს.

მ. სიმონგულოვი.

სამხკორთა და კორესპონდენციების რიცხვის ზრდა.


1923 წ. ოქტომბერი.
1924 წ. ოქტომბერი
1925 წ. ოქტომბერი.
1. სამხკორი—35.
2. კორესპონდ.—87.
1. სამხკორი—100.
2. კორესპონდ.—256.
1. სამხკორი—300.
2. კორესპონდ.—460.

ორშაბათს, 11 იანვარს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია

ტფილისის საბჭოს სექციების შემდეგი მორიგი სხდომა:

1. **კომუნალური** . . . . (მ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბი. პლეხანოვის პროსპექტი, მუშტაიდის ბაღთან.

დღის წესრიგი.

1. მოხსენება სექციის სამი თვის მუშაობის გეგმის შედგენის შესახებ,
2. მოხსენება საბინაო საკითხის შესახებ,
3. მიმდინარე საკითხები.

2. **საფინანსო** . . . . (ალმასკ. შენ. ოთ. № 17).

დღის წესრიგი

1. სექციის სამი თვის მუშაობის გეგმის განხილვა,
2. გადასახადთა ქვე-განყოფილების მოქმედების ანგარიში გასულ საბიუჯ. წლის განმავლობაში.
3. მოხსენება სექციის ბიუროს გადარჩევის შესახებ,
4. მიმდინარე საკითხები.

3. **სახალხო განათლების** . . (ალმ. შენ. ოთ. № 32).

დღის წესრიგი.

1. მოხსენება სექციის სამი თვის მუშაობის გეგმის შედგენის შესახებ,
2. პოლიტგანის მოხსენება თავისი მუშაობის შესახებ,
3. დამხმარე საბჭოების დებულების განხილვა,
4. სკოლებზე მიმაგრებულ სექციის წევრთა მოხსენებები,
5. მიმდინარე საკითხები. (ინფორმაცია სკოლების შენობის შეკეთების შესახებ და სხვა).

4. **ჯანმრთელობის** . . . (ალმ. შენ. ოთ. № 57).

დღის წესრიგი.

1. მოხსენება სექციის სამი თვის მუშაობის გეგმის შედგენის შესახებ,
2. მოხსენება ქალაქის და დამზღვევ სალაროს ამბულატორიათა გამოკვლევის შესახებ,
3. მოხსენება დედათა და ბავშვთა დაცვის საქმის გამოკვლევის შესახებ,
4. მიმდინარე საკითხები.

5. **სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის** . . . . . . (ალმ. შენ. ოთ. № 28)

დღის წესრიგი.

1. მოხსენება სექციის სამი თვის მუშაობის გეგმის შედგენის შესახებ,
2. მოხსენება ტრაქტორებით მუშაობის შესახებ,
3. სავეტერინარო დახმარება და საქონლის ჭირთან ბრძოლა მაზრაში.
4. მიმდინარე საკითხები.

6. **სამხედრო** . . . . . (ალმასკომის დარბაზი).

დღის წესრიგი.

1. მოხსენება სექციის სამი თვის მუშაობის გეგმის შედგენის შესახებ,
2. ქალაქის კომენდანტის მოხსენება სამხედრო მუშაკთათვის ბინების საკითხის შესახებ,
3. მოხსენება ყაზარმების შესაკეთებლად გაცემულ თანხების რაოდენობისა და მისი გაცემის წესის შესახებ,
4. მოხსენება ჩოთქის სახელოსნოს გამოკვლევის შესახებ.
5. მოხსენება ძველი შემადგენლობის ბიუროსაგან თანხების მიღების შესახებ,
6. მიმდინარე საკითხები.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშ. დროზე.

პრეზ დ. უმ.

სრულიად საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის კანტორა აცხადებს,

— რომ ის აწარმოებს —

პირადი დაზღვევის ოპერაციებს.

1. სიკვდილის გამო და შერეულ შემთხვევაში:

დაზღვევა სიკვდილის გამო და შერეულ შემთხვევისთვის: ინდივიდუალური საექიმო შემოწმებით და საექიმო შემოწმების გარეშეც, და აგრეთვე ჯგუფური დაზღვევის პირობებში დაწესებულებათა და საწარმოთა თანამშრომელთათვის.

2. უბედურ შემთხვევათაგან:

სიკვდილის, ინვალიდობის, შრომის დროებით უუნარიანობის შემთხვევაში და მგზავრთა დაზღვევებს უბედურ შემთხვევათაგან ყოველგვარ გზაზე მოგზაურობის დროს.

ამიერ-კავკასიის ხორცით ვაჭრობის სააქციონერო საზოგადოება „ზაკმიასოტორგ“-მა

გააფართოვა რა თავისი ოპერაციები ტფილისსა და ბაქოში, დაამზადა ხორცის ნაწარმოების დიდძალი პარტია საუკეთესო ჯიშის მსხვილი და წვრილი საქონლისაგან:

მსხვილი საქონლის („გოვიადინა“)—ჩრდილოეთ კავკასიის (ყირგიზკალმიკურ ჯიშისა) და ყარსის საქონლისაგან;

ცხვრის ხორცი—განსაკუთრებით მაზეხის ჯიშის ცხვრების საუკეთესო ხარისხისა (სურმალინის მაზრის, არარატის მიდამოებიდან).

ღორის ხორცი—აბხაზეთისა და სამეგრელოს საუკეთესო ჯიშის ღორებიდან.

ვაჭრობა ბითუმად და წვრილად

ბითუმად:

ბითუმად ვაჭრობის საწყობი № 2 ბაზრის ქუჩა.

წვრილად:

წვრილად ვაჭრობის მაღაზიები ტფილისისა და ბაქოს ყველა რაიონებში (ტფილისში: ვაზნესენსკი, დავიდოვის, ოლღას, ვერის პასაჟი, ხერქეზოვის, ვაგზლის, რაზიეზჟაია, დიდუბის, ბაზრის, პუშკინის ქუჩები.

იხსნება:

ავლაბარში (კახეთის მოედანი), ნავთლუღში, ნახალოვკაში, კირკის ქუჩებზე და სხვა.

ბაქოში—შემახის, ბალახანის, ტელეფონის, ბირჟის, ტორგოვაია და სხვა ქუჩები.

ფასები კონკურენციის გარეშე:

1) ბითუმად ვაჭრობა სახელმწიფო დაწესებულებებ-სა და კოოპერაციებისთვის:

მსხვილი საქონლის ხორცი („გოვიადინა“)—16 კილო (1 ფუთი) . . . 10 მან.

ცხვრის ხორცი— 16 კილო (1 ფუთი) . . . 13 მან.

(დუმით არა ნაკლებ 15 გირვანქისა წონით.)

ღორის ხორცი— 16 კილო (1 ფუთი) . . . 11 მან.

2) კერძო ვაჭრობისათვის:

მსხვილი საქონლის ხორცი („გოვიადინა“)—16 კილო (1 ფ.) 11 მან.-დან 12 მ. და 50 კაპიკამდი.

ცხვრის ხორცი— 16 კილო (1 ფ.) 13 მ. 50 კაპიკიდან 14 მანეთამდი

(დუმით არა ნაკლებ 15 გირვანქისა წონით.)

ღორის ხორცი— 16 კილო (1 ფ.) 11 მან. და 50 კაპ.-დან 12 მან. მდი.

წვრილი ვაჭრობისათვის:

მსხვილი საქონლის ხორცი („გოვიადინა“)—1 კილო (2 ნახ. გირვანქა) . . . 66 კაპ. ანუ გირვანქა 27 კაპიკი.

ცხვრის ხორცი— 1 კილო (2 ნახ. გირ.) 81 კაპ. ანუ გირ. 33 კაპ.

ღორის ხორცი— 1 კილო (2 ნახ. გირ.) 66 კაპ. ანუ გირ. 27 კაპ.

უტყავოდ—1 კილო (2 ნახ. გირ.) . . . 78 კაპ. ანუ გირ. 32 კაპ.

იყიდება ყველაზე

გამგეობა.

სამხედრო მომხმარებელი საზოგადოება

„ბოეცი“-ს

გამგეობა

ამით აცხადებს:

I

საქართველოს ყოფილი მთლიანი სამხედრო კოოპერატივის („ევკოგრუზი“) წევრთა ხელახალი აღრიცხვა, რომლებიც (წევრები) მიღებულ იქნენ სამხედრო მომხმარებელ საზოგადოება „ბოეცი“-ს მიერ,

გადადებულია 1-ლ თებერვლამდი.

ვინც დანიშნულ ვადაში არ გამოცხადდება აღრიცხვაზე, მექანიკურად გამოირიცხება წევრობიდან.

II

12 იანვარს, საღამოს 6 საათზე (რუსთაველის პროსპექტი № 34, სამხედრო მომხმარებელი საზოგადოება „ბოეცი“) შესდგება დუქნების კომისიებისა და კოოპორგანიზაციების საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. საარჩევნო კამპანიის წესრიგის შესახებ;
2. საკოოპერაციო მუშაობის შემდეგი კამპანიის შესახებ;
3. კოოპერატიული წრეების მუშაობის შესახებ.
4. დუქნების კომისიების კონკურსის შესახებ;
5. სხვა და სხვა.

III

იანვარში ჩატარდება დელეგატებისა და რწმუნებულთა საარჩევნო კამპანია სარაიონო და რწმუნებულთა კრებებისთვის.

დაწესებულია შემდეგი ნორმა:

სარაიონო კრებაზე 10 წევრი ირჩევს 1 დელეგატს და 100 წითელ არმიელი—1 დელეგატს.

რწმუნებულთა კრებაზე:

სარაიონო კრებაზე 20 დელეგატი ირჩევს ერთ რწმუნებულს.

გამგეობა

ამხანაგო წითელ არმიელო!

გაავრცელე

გაავრცელე

გახსოვდეს შენი მოვალეობა.

გმართებს არაჩვეულებრივი მზრუნველობა.

ყოველ დღე შეეკითხე შენს თავს—

რა გააკეთე მთელი დღის განმავლობაში,

რამდენი ხელისმომწერი უშოვე

„წითელ არმიელ“-ს

[illegible]

გამოაწერიეთ

„წითელი მხედარი“ ჟურ.

გაზ. „წითელი არმიელი“

რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

გამოიწერეთ გაზეთი „წითელი არმიელი“

ნ. დ. ს. ც.

სამხედროსტამბა კეცხოველის ქ № 3.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე